

ისტორია
საბაზო საფეხური
წლიური პროგრამები

საბაზო საფეხურის ისტორიის პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს. პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>საგნობრივი საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none">• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;• სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;• თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
<p>აქტივობები</p> <p>მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p> <p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>
<p>შეფასების ინდიკატორები</p> <p>შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ</p>

თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

სასწავლო თემები	საათების სავარაუდო რაოდენობა	სარეზერვო დრო
VII კლასი		
1. პრეისტორია/ქვის ხანა;	8 საათი	4 საათი
2. ბრინჯაოს ხანა/მველი აღმოსავლეთი;	14 საათი	4 საათი
3. ანტიკური და გვიანანტიკური ხანა.	32 საათი	8 საათი
VIII კლასი		
1. შუასაუკუნეები;	42 საათი	8 საათი
2. გვიანი შუა საუკუნეები და ახალი დრო.	32 საათი	8 საათი
IX კლასი		
1. „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“;	37 საათი	8 საათი
2. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;	19 საათი	4 საათი
3. საბჭოთა პერიოდი;	19 საათი	4 საათი
4. საქართველო და თანამედროვე მსოფლიო.	10 საათი	4 საათი

VII კლასი

<p>თემა - პრეისტორია / ქვის ხანა</p>	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა - 8 (+4)</p>
<p>საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დმანისის აღმოჩენები; 2. პალეოლითური მღვიმეების კულტურა საქართველოსა და ევროპაში; 3. საქართველო - მიწათმოქმედებისა და მეღვინეობის უძველესი კერა. 	
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:</p> <p>დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;</p> <p>სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;</p> <p>საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;</p> <p>ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;</p> <p>ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;</p> <p>წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.</p>	
<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რაც ვიცით, საიდან ვიცით ქვის ხანის შესახებ? • როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ქვის ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება? • როგორ აღიქვამდა პირველყოფილი ადამიანი სამყაროს? რატომ მისდევდა იგი მაგიას? • რით განსხვავდებოდა ქვის ხანა თანამედროვეობისგან? • რატომ იხსენიებენ მეცნიერები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას „რევოლუციის“ სახელით? 	
<p>აქტივობები</p> <p>იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვის ხანისთვის / პრეისტორიისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (გვაროვნული თემი, მაგია, მეურნეობა (შემგროვებლობა-მონადირეობა, მიწათმოქმედება-მესაქონლეობა)) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12); • არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქვის ხანის მოვლენების შესწავლა-ინტერპრეტირება (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12); • პირველყოფილი საზოგადოების (სოციალური ფენები, მეურნეობის ფორმები, მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12); • „ნეოლითური რევოლუციის“ მისთვის ცნობილ სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12). 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრეისტორია ადამიანის გაჩენიდან - პირველი სახელმწიფოებისა და დამწერლობის ჩამოყალიბებამდე პერიოდია; • ქვის ხანის შესახებ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები მოგვითხრობს; 	

- ქვის ხანაში ძირითადად ქვის იარაღებს იყენებდნენ;
- ქვის ხანაში ადამიანები გვაროვნული თემის პირობებში ცხოვრობდნენ;
- მაგია პირველყოფილი ადამიანის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის უმთავრესი ფორმაა. იგი საგნებს/ადამიანებს შორის უხილავი კავშირების არსებობას გულისხმობს;
- ქვის ხანაში ადამიანები მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ, მოგვიანებით კი მათ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ისწავლეს;
- საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ევრაზიაში უძველესი ადამიანის ნაშთები; საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზეც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა განვითარდა.

თემა: ბრინჯაოს ხანა / ძველი აღმოსავლეთი საათების სავარაუდო რაოდენობა - 14 (+4)

- საკითხები:**
1. მტკვარ-არაქსის კულტურა;
 2. თრიალეთის კულტურა;
 3. დიაოხისა და კოლხას ურთიერთობები ძველადმოსავლურ ქვეყნებთან.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:
დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;
სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;
ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;
ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;
წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

- საკვანძო შეკითხვები:**
- რაც ვიცით საიდან ვიცით ძველი აღმოსავლეთის/ბრინჯაოს ხანის შესახებ?
 - როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველადმოსავლურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
 - რით განსხვავდებოდა ძველადმოსავლური ხანა თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
 - როგორ აღიქვამდა ძველადმოსავლურ პერიოდში მცხოვრები ადამიანი სამყაროს?
 - რატომ შეიქმნა დამწერლობა, კანონები, დროის აღრიცხვის სისტემა?
 - რატომ წარმოიქმნა პირველი ცივილიზაციები დიდი მდინარეების გასწვრივ?
 - როგორი ურთიერთობა ჰქონდა მომთაბარეებს ძველი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოებთან?
 - რატომ იყო დამახასიათებელი ძველადმოსავლური ეპოქისთვის მონუმენტური არქიტექტურა?
 - რატომ მარხავდნენ მმართველებს ყორღანებში?
 - რატომ იხსენიება ძველადმოსავლურ წყაროებში ბევრი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისა და ლურსმული ფირფიტების მონაცემების საფუძველზე ძველადმოსავლური პერიოდის/ბრინჯაოს ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ. 1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ძველადმოსავლური პერიოდისთვის/ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება“) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ძველადმოსავლური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება (კანონები), მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- დამწერლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის მიზეზებზე მსჯელობა; სახელმწიფოს წარმოქმნით გამოწვეული კომპლექსური ცვლილებების დახასიათება და სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- პირველი სახელმწიფოები და დამწერლობის სისტემები ერთდროულად წარმოიქმნა;
- პირველი სახელმწიფოები დიდი მდინარეების გასწვრივ ჩამოყალიბდა;
- უძველესი ცივილიზაციების ჩამოყალიბება ძველი აღმოსავლეთის ხალხებს (შუმერები, ხეთები, ასურელები, ბაბილონელები) უკავშირდება. ისინი ძირითადად ლურსმულ დამწერლობას იყენებდნენ;
- ძველადმოსავლურ ცივილიზაციებს მომთაბარე ტომების შემოსევები დიდ საფრთხეს უქმნიდა;
- საქართველოს ტერიტორია როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის წარმოების თვალსაზრისით იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე რეგიონი იყო;
- ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მონუმენტური არქიტექტურა;
- ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი თავიანთ მმართველებს ყორღანებში მარხავდა;
- ძველადმოსავლურ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხი, კოლხა და სხვა) ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ძველი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან.

საკითხები:

1. ბერძნული ახალშენები საქართველოს ტერიტორიაზე;
2. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა და ქართლის სამეფოს წარმოქმნა;
3. რომის აღმოსავლური დაპყრობები და საქართველო;
4. ქართლისა და რომის ურთიერთობა ახ.წ. I-II საუკუნეებში;
5. ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიასა და საქართველოში;
6. ვახტანგ გორგასალი (სპარსეთ-ბიზანტიის დაპირისპირების კონტექსტში);
7. „დიდი ომიანობა“ ეგრისში.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;

სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;

საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;

ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;

ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;

წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით საიდან ვიცით ანტიკური ხანის შესახებ?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ანტიკურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- როგორ აღიქვამდა ანტიკური ხანის ადამიანი სამყაროს?
- რით განსხვავდებოდა ანტიკური ხანა თანამედროვეობისგან და სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- რატომ და როგორ იქმნება მითები?
- რატომ დააარსეს ბერძნებმა ახალშენები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე?
- რატომ იჭრებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულწარწერიანი კოლხური თეთრი ?
- რატომ დაამარცხდა სპარსეთის იმპერია პატარა, დაქსაქსულ საბერძნეთთან ბრძოლაში?
- რატომ ადარებენ ელინიზმს თანამედროვე გლობალიზაციას?
- რატომ ცდილობდნენ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ანტიკური ხანის კულტურის მიბადვას?
- რატომ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს პატრიციები და პლებეები?
- რატომ იყო პრივილეგია რომის მოქალაქეობა?
- რატომ ჰქონდა რომაულ ლეგიონებს მოწინააღმდეგის ჯარებზე უპირატესობა?
- რატომ იყვნენ რომაელები დაინტერესებულნი ქართლთან „მეგობრობითა და მოკავშირეობით“?
- რატომ არის საქართველოში მრავლად აღმოჩენილი რომაული პერიოდის არქეოლოგიური არტეფაქტები?
- რატომ ახდენს რომაული მემკვიდრეობა (კანონები, პოლიტიკური სისტემა) გავლენას თანამედროვეობაზე?
- რატომ მიიღო იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა?
- რატომ მიიღო მირიან მეფემ ქრისტიანობა?
- რატომ ჰქონდა გვიანანტიკურ ხანაში საეკლესიო დავებს შეურიგებელი ხასიათი?
- რატომ დაეცა რომის იმპერია?
- რატომ ცდილობდნენ საქართველოს მეფეები ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილების გაკონტროლებას? რატომ უწყობდნენ მათ ამაში ხელს ბიზანტია და სასანიანთა ირანი?

აქტივობები

იდებები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- არქეოლოგიური, ნუმისმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ბერძნული კოლონიზაციის, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების, „ხალხთა დიდი გადასახლების“ შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- ანტიკურ ხანაში პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით წამყვანი პოზიციები ბერძნებსა და რომაელებს ეკავათ; მათი ცივილიზაცია თანამედროვეობაზეც ახდენს გავლენას;
- ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან - ბერძნებთან, რომელებთან და სპარსელებთან;
- კოლხეთი ფართოდაა ასახული ბერძნულ მითოლოგიაში, ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში;
- კოლხეთში მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მონეტა - კოლხური თეთრი იჭრებოდა;
- ძველი საბერძნეთი არ იყო ერთიანი სახელმწიფო. იგი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოებისგან - პოლისებისგან შედგებოდა;
- ანტიკურ ხანაში ფართოდ იყენებდნენ მონეტის შრომას;
- ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური/ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდა ერთმანეთს; ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობამ მათი კულტურების შერწყმას (ელინიზმს) დაუდო საფუძველი;
- აღმოსავლეთ საქართველოში პირველი სახელმწიფო (ქართლი) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდგომ წარმოიქმნა;
- რომის იმპერია მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს მოიცავდა;
- ლეგიონი რომის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა;
- რომაული საზოგადოება ორი ძირითადი ფენისგან - პატრიციებისა და პლებეებისგან შედგებოდა;
- ქართლის სამეფო რომის „მეგობარი და მოკავშირე“ სახელმწიფო იყო;
- რომაული სამართალი და მმართველობის სისტემა საფუძველად უდევს თანამედროვე ევროპულ/დასავლურ სამართალსა და მმართველობის სისტემას;
- იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან რომში ქრისტიანობა მთავარ რელიგიად იქცა;
- გვიანანტიკურ ხანაში ხშირი იყო საეკლესიო განხეთქილებები (მაგალითად, მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის); სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა;
- რომის იმპერია გერმანული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა. შუა საუკუნეებს რომის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდს უწოდებენ;
- მომთაბარეების შესაჩერებლად კავკასიის უღელტეხილების გამაგრებას ბიზანტიისა და სპარსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; ეს საერთაშორისო პოლიტიკაში ქართული სახელმწიფოების (ქართლი, ეგრისი) როლის ზრდას განაპირობებდა.

VIII კლასი

<p>თემა: შუა საუკუნეები</p> <p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none">1. არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბება და მის მიერ საქართველოს დაპყრობა;2. ბაგრატ მესამის საშინაო და საგარეო პოლიტიკა;3. ჯვაროსნული ლაშქრობები და საქართველო;4. დავით აღმაშენებელი;5. თამარ მეფე;6. მონღოლთა იმპერიის ჩამოყალიბება და საქართველო;7. გიორგი ბრწყინვალე;8. თემურ ლენგი და მისი შემოსევები.	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა - 42 (+8)</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:</p> <p>დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;</p> <p>სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;</p> <p>საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;</p> <p>ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;</p> <p>ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;</p> <p>წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.</p>	
<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <ul style="list-style-type: none">• რაც ვიცით საიდან ვიცით შუა საუკუნეების შესახებ?• როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები შუა საუკუნეებში? როგორი იყო მათი საზოგადოება?• როგორ აღიქვამდა შუა საუკუნეების ადამიანი სამყაროს?• რით განსხვავდებოდა შუა საუკუნეები თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?• რატომ გაჩნდნენ მონასტრები, რატომ იქცნენ ისინი განათლების კერებად?• რატომ გაუადვილდათ არაბებს მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის დაპყრობა?• რატომ გაჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე VIII-IX საუკუნეებში ახალი სამეფო-სამთავროები (აფხაზეთის სამეფო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფო“, ჰერეთის სამეფო, თბილისის საამირო)?• რატომ არის ქართულ ენაში ბევრი არაბული და სპარსული წარმოშობის სიტყვა?• რატომ ატარებდნენ საქართველოს მეფეები ბიზანტიურ ტიტულებს?• რატომ გაერთიანდა საქართველო X-XI საუკუნეებში?• რატომ შეიქმნა „ქართლის ცხოვრების“ კრებული XI-XII საუკუნეში?• რატომ უპირისპირდებოდა ეკლესია და დიდგვაროვნები სამეფო ხელისუფლებას შუა საუკუნეებში?• რატომ ურთიერთობდნენ ქართველები ევროპულ ჯვაროსნებთან? რატომ ჰქონდათ მიმოწერა ქართველ მეფეებს რომის პაპებთან?• რატომ გაუადვილდათ მონღოლებს მსოფლიო იმპერიის შექმნა?• რატომ განვითარდა გილდიები და ამქრები შუა საუკუნეებში?• რატომ იქცა XI-XII საუკუნეები „ოქროს ხანად“ საქართველოს ისტორიაში?	

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობითი წყაროების (ჰაგიოგრაფიული თხზულებების, ქრონიკის, მატიანეს) საფუძველზე შუა საუკუნეების ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- შუა საუკუნეების ეპოქისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (ფეოდალიზმი, „წმინდა მიწისთვის ბრძოლა“, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობები და დაპირისპირებები, პროვიდენციალური აზროვნება) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- შუა საუკუნეების საზოგადოების („სამწევროვანი საზოგადოება“, სამართლებრივი აზროვნება, მსოფლმხედველობა, ყოფის, საკუთრებისა და მეურნეობის ფორმები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ჯვაროსნული ლაშქრობების, საეკლესიო განხეთქილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- ქრისტიანობა და ისლამი მონოთეისტური რელიგიებია;
- შუა საუკუნეებში ხშირი იყოს განხეთქილება ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის; სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა;
- ქრისტიანულ სამყაროში სულ რამდენიმე ავტოკეფალური ეკლესიაა. საქართველოს ეკლესია ერთ-ერთია მათ შორის;
- შუა საუკუნეებში მონასტრები საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ;
- ისლამი მუჰამედის ქადაგების შედეგად წარმოიქმნა; არაბთა სახალიფოსთან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა;
- შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელია ფეოდალიზმი („სამწევროვანი საზოგადოება“ ევროპაში, პატრონ-ყმობა საქართველოში);
- შუა საუკუნეებში საქართველო „ბიზანტიური თანამეგობრობაში“ შედიოდა;
- შუა საუკუნეები ჯვაროსნული ლაშქრობებისა და დიდი აზიური იმპერიების (თურქ-სელჩუკები, მონღოლები) ეპოქაა;
- შუა საუკუნეები რაინდების, ციხე-სიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების ეპოქაა;
- შუა საუკუნეებში „აბრეშუმის გზა“ ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებდა. იგი საქართველოზეც გადიოდა;
- „ქართლის ცხოვრება“ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრესი წყაროა;
- XII საუკუნე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით საქართველოს ძლიერების ხანაა.

საკითხები

1. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად;
2. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მიზეზები და შედეგები;
3. ქართული სახელმწიფოები და ირან-ოსმალეთის დაპირისპირება;
4. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;

სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;

საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;

ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;

ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;

წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები

- რაც ვიცით საიდან ვიცით გვიანი შუა საუკუნეების / ახალი დროის შესახებ?
- რატომ „გახანგრძლივდა“ შუა საუკუნეები საქართველოში?
- როგორ აღიქვამდა ახალი დროის ადამიანი სამყაროს?
- რით განსხვავდებოდა ახალი დრო თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- რატომ მოუტანა უარყოფითი შედეგები ბიზანტიის დაცემამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა საქართველოს?
- რატომ ჩამოყალიბდა სათავადოები?
- რატომ დაიშალა საქართველო სამეფო-სამთავროებად XV საუკუნეში?
- რატომ მსახურობდა ბევრი ქართველი მეომარი ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში?
- რატომ ცდილობდნენ გვიან შუა საუკუნეებში ქართველი და ევროპელი საერო და სასულიერო მმართველები ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას?
- რატომ იქცა გვიანი შუა საუკუნეები საქართველოს დაცემა-დაქვეითების ხანად?
- რატომ ატარებს გვიანი შუა საუკუნეების ქართული კულტურა და ყოფა მკვეთრად გამოხატულ სპარსულ-თურქულ ელფერს?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობითი წყაროების (ქრონიკები, მისიონერებისა და მოგზაურების ჩანაწერები, კარტოგრაფიული მონაცემები) საფუძველზე გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);

- გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის არსებითი მახასიათებლების (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ანტიოსმალური კოალიციები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა, ეკონომიკური ურთიერთობები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ბიზანტიის დაცემით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებითა და ევროპის ჰეგემონობის დამყარებით გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- XV-XVIII საუკუნეები ევროპაში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, ტექნოლოგიური ნოვაციების, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების ეპოქაა; საქართველოზე ეს სიახლეები დაგვიანებით და ნაწილობრივ აისახებოდა;
- ბიზანტიის იმპერიის დაცემით საქართველოს დასავლურ სახელმწიფოებთან ურთიერთობა პრაქტიკულად შეწყდა; ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ ანტიოსმალურ კოალიციებში;
- გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს უცხოელი მისიონერები და მოგზაურები აღწერენ;
- გვიან შუა საუკუნეებში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა;
- გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში სათავადოები ჩამოყალიბდა;
- გვიან შუა საუკუნეებში “ტყვის სყიდვა” იყო გავრცელებული; ბევრი გაყიდული ქართველი მამლუქების, ლულამებისა და იანიჩარების სახით სხვა ქვეყნების სამსახურში იდგა;
- გვიან შუა საუკუნეებში საქართველო ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენას განიცდიდა.

თემები IX კლასისთვის

<p>თემა: „ხანგრძლივი XIX საუკუნე“</p> <p>საკითხები</p> <ol style="list-style-type: none">1. საფრანგეთის რევოლუციის მიზეზები და შედეგები;2. „ინდუსტრიული რევოლუცია“;3. გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება;4. თერგდალეულთა მოღვაწეობა და დაშლა დასებად.	<p>საათების სავარაუდო რაოდენობა - 37 (+8)</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:</p> <p>დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;</p> <p>სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;</p> <p>საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;</p> <p>ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;</p> <p>ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;</p> <p>წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.</p>	
<p>საკვანძო შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none">• რაც ვიცით საიდან ვიცით XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს შესახებ?• როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები დიდი რევოლუციების ეპოქაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?• როგორ აღიქვამდა XVIII-XIX საუკუნეების ადამიანი სამყაროს?• რით განსხვავდება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?• რატომ დაკარგა საქართველომ სახელმწიფოებრიობა?• რატომ აისახა საქართველოზე ნაკლებად საფრანგეთის რევოლუციისა და „ინდუსტრიული რევოლუციის“ შედეგები?• რატომ <u>არ</u> უწყობდა ცარიზმი ხელს საქართველოში მრეწველობის განვითარებას?• რატომ უწოდებდნენ კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობას „ნამცხვრისა და მათრახის“ პოლიტიკას?• რატომ განახორციელა ალექსანდრე მეორემ რეფორმები?• რატომ აშუქებდნენ თერგდალეულები აქტიურად ევროპაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს?	
<p>აქტივობები</p> <p>იდევნი კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის</p>	

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობითი წყაროების (პუბლიცისტიკა) საფუძველზე „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ არსებითი მახასიათებლების (რევოლუციები, კოლონიალიზმი, სამრეწველო გადატრიალება, ნაციონალიზმი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ საზოგადოების (ნაცია სახელმწიფოები, მსოფლმხედველობა, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ურთიერთობები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- რევოლუციების, კოლონიალიზმის, ნაციონალიზმის, ლიბერალური, მემარცხენე იდეოლოგიის გავრცელების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- XVIII-XIX საუკუნეები საფრანგეთის რევოლუციის, „ინდუსტრიული რევოლუციისა“ და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხანაა;
- „ხანგრძლივი XIX საუკუნე“-ის განმავლობაში მსოფლიოს უმეტესი ნაწილი ევროპული სახელმწიფოების კოლონიებს წარმოადგენდა;
- „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ პერიოდში საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა და რუსეთის გუბერნიად იქცა;
- XIX საუკუნეში საქართველოში ბატონყმობა გაუქმდა;
- თერგდალეულები მეფის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ და საზოგადოებაში ევროპულ ლიბერალურ ღირებულებებს ამკვიდრებდნენ;
- „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ ნაციონალიზმისა და რომანტიზმის ეპოქაა.

თემა: პირველი მსოფლიო ომის ეპოქა / საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

საათების სავარაუდო რაოდენობა - 19 (+4)

საკითხები

1. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო;
2. 1917 წლის რევოლუციები რუსეთში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება;
3. საქართველოს გასაბჭოება.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;

სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;

საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;

ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;

ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;

წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები

- რაც ვიცით საიდან ვიცით რუსეთის რევოლუციებისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდზე?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში? როგორ იყო მათი საზოგადოება?
- როგორ აღიქვამდა პირველი მსოფლიო ომის თანამედროვე ადამიანი სამყაროს?
- რით განსხვავდებოდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდი თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული პერიოდებისგან?
- რატომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი?
- რატომ მოხდა რევოლუციები რუსეთში?
- რატომ და როგორ მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა?
- რატომ იყო საქართველოში პოპულარული სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია?
- რატომ ჰქონდათ ქართველ პოლიტიკოსებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედი?
- რატომ არ მიიღეს საქართველო „ერთა ლიგაში“?
- რატომ ატარებს XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მეცნიერება, ხელოვნება და ყოფა მკვეთრად გამომხატულ ევროპულ ელფერს?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობით წყაროებზე (კუბლიცისტური მონაცემები, მემუარები), ფოტო-ფონო მასალებზე დაყრდნობით XX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- XX საუკუნის პირველი ნახევრის არსებითი მახასიათებლების (რევოლუციური მოძრაობები, პირველი მსოფლიო ომი, მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიების ჭიდილი, საერთაშორისო ურთიერთობები, გლობალური საფრთხეების პრევენცია) გამოკვეთა (ისტ.საბ. 1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- XX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოების (მსოფლმხედველობა - „ომით გადაღლის სინდრომი“, ეკონომიკური ურთიერთობები) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი გავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- XX საუკუნის დასაწყისი მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიების დაპირისპირების ხანაა. ილია ჭავჭავაძე ამ დაპირისპირებას შეეწირა;
- პირველი მსოფლიო ომში „ანტანტა“ და „სამთა კავშირის“ დაუპირისპირდა ერთმანეთს; თავისი მასშტაბით ეს ომი მანამდე მომხდარ ყველა სამხედრო დაპირისპირებას აღემატებოდა;
- საბჭოთა კავშირი მას შემდეგ შეიქმნა, რაც რუსეთში რევოლუციების შედეგად მეფის ხელისუფლება დაემხო;
- რუსეთის იმპერიის დამხობამ საქართველოს საშუალება მისცა 1918-1921 წლებში პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეექმნა, რომელიც დემოკრატიულ ფასეულობებს ეფუძნებოდა;
- პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებს - ერთა ლიგა აწესრიგებდა;
- XX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურა ევროპულ გავლენას განიცდიდა.

საკითხები

1. რეპრესიები;
2. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო;
3. „პერესტროიკა“.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;

სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;

საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;

ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;

ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;

წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები

- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საბჭოთა პერიოდში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- რატომ იდევნებოდა საბჭოთა კავშირში კერძო საკუთრება და ინიციატივა?
- რატომ განხორციელდა საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია?
- რატომ დასჭირდა საბჭოთა სახელმწიფოს რეპრესიების განხორციელება? რატომ იდევნებოდა თავისუფალი პრესა/ მრავალპარტიულობა/განსხვავებული აზრი საბჭოთა კავშირში?
- რით განსხვავდებოდა საბჭოთა პერიოდი თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- როგორ აღიქვამდა საბჭოთა პერიოდის ადამიანი სამყაროს?
- რატომ ახასიათებს „პიროვნების კულტი“ ტოტალიტარიზმს?
- რატომ იყვნენ ქართველები აქტიურად ჩართულნი მეორე მსოფლიო ომში?
- რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნები „ცივი ომის“ დროს?
- რატომ არ უშვებდნენ საბჭოთა მოქალაქეებს საზღვარგარეთ?
- რატომ იყო დამკვიდრებული საბჭოთა ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმი?
- რა ფორმებით იბრძოდნენ საქართველოში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ?
- რატომ დაიწყო „პერესტროიკა“? რატომ დაიშალა საბჭოთა კავშირი?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობით წყაროებზე (საარქივო მასალები), აუდიო-ვიდეო მასალებზე, ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით საბჭოთა ეპოქის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- საბჭოთა ეპოქის არსებითი მახასიათებლების (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, რეპრესიები, ათეიზმი, ტოტალიტარიზმი) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- საბჭოთა ეპოქის საზოგადოების (რეჟიმი, მსოფლმხედველობა, ინდივიდი/კოლექტივიზმი) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);

- ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, რეპრესიების, მეორე მსოფლიო ომისა და „პერესტროიკის“ შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება (ისტ.საზ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- საქართველომ 70 წელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაატარა;
- საბჭოთა კავშირში მოქალაქის ცხოვრების ყველა სფეროს სახელმწიფო აკონტროლებდა; განსხვავებულად მოაზროვნე პიროვნებებს ხელისუფლება რეპრესიული მეთოდებით უსწორდებოდა;
- საბჭოთა ეკონომიკა კოლექტიური საკუთრების პრინციპს დაეფუძნა; აქ კერძო საკუთრება შეზღუდული იყო;
- საბჭოთა კავშირში რელიგია იდევენებოდა; იგი ბელადის კულტმა და ათეიზმმა ჩაანაცვლა;
- მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირი ნაცისტურ გერმანიას დაუპირისპირდა. ამ ომში ბევრი ქართველი დაიღუპა;
- „ცივი ომის“ დროს ერთმანეთს კაპიტალისტური და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები უპირისპირდებოდნენ;
- დისიდენტები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

საკითხები

1. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და დამოუკიდებლობის გამოცხადება;
2. საქართველოს დაკარგული ტერიტორიები;
3. საქართველო და ევროსტრუქტურები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

დრო - ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;

სივრცე - კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;

საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;

ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;

ძალაუფლება - სახელმწიფო, დემოკრატია;

წყარო, ისტორიული კვლევა - წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები

- როგორია თანამედროვე საზოგადოება და ყოველდღიური ყოფა? რით განსხვავდება იგი სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- რატომ მოხდა 9 აპრილის ტრაგედია?
- რატომ მიისწრაფვის საქართველო ევროინტეგრაციისკენ?
- რატომ აირჩია თანამედროვე საქართველომ რესპუბლიკური მმართველობის ფორმა?
- როგორ შეიძლება მოგვარდეს ეთნოკონფლიქტები?
- როგორ აისახება გლობალიზაცია თანამედროვე საქართველოზე?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წერილობით, ციფრულ მონაცემებსა და ზეპირ ისტორიებზე დაყრდნობით თანამედროვე საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- თანამედროვე ეპოქის არსებითი მახასიათებლების (გლობალიზაცია, ტერორიზმი, ფუნდამენტალიზმი, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- თანამედროვე საზოგადოების (ინფორმაციული საზოგადოება და ტექნოლოგიური პროგრესი, „მომხმარებელი საზოგადოება“ და ეკონომიკური ურთიერთობები) წინარე ისტორიული ეპოქების საზოგადოებებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მისი ზეგავლენის გაანალიზება; სხვა ისტორიულ მოვლენებთან მისი შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები

- „9 აპრილი“ საქართველოს მოსახლეობისთვის როგორც ტრაგიკული, ისე საზეიმო დატვირთვის მატარებელია;
- 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა;
- 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველოში სამოქალაქო ომი გამოიწვია და ქვეყნის განვითარება სერიოზულად შეაფერხა;

- გარე ძალების ჩარევით XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში გაღვივდა ეთნოკონფლიქტები, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია;
- საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ევროინტეგრაციის გზას ადგას;
- საქართველო აქტიურადაა ჩართული ტერორიზმისა და ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- გლობალიზაციის პირობებში საქართველომ მსოფლიოში თავი შეიძლება დაიმკვიდროს თავისი თვითმყოფადობით და კულტურული მრავალფეროვნებით.